სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2018 წლის 16 მაისის N132/02-01 ბრძანების
დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესი (შემდგომში - ,,წესი“) არეგულირებს უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებსა და ტერიტორიაზე (შემდგომში - ,,უნივერსიტეტის სივრცე“) თამბაქოს მოწევის აკრძალვის ფარგლებსა და წინამდებარე წესის დარღვევის შემთხვევაში განსაზღვრავს უნივერსიტეტის წინაშე პასუხისმგებლობის ფარგლებსა და ზომებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სივრცეში თამბაქოს მოწევის აკრძალვის რეგულირება

1. უნივერსიტეტის სივრცეში აკრძალულია თამბაქოს მოწევა, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული, თამბაქოს (მოქმედი კანონმდებლობით თამბაქოს ნაწარმად აღიარებული შესაბამისი საშუალება) მოწევის შედეგად არსებული კვამლის, ფერფლის, ნამწვის არსებობა, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საშუალების განთავსება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა ვრცელდება როგორც უნივერსიტეტის პერსონალსა (თანამშრომლები) და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე რიცხულ პირებზე (სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი და სხვ.), აგრეთვე უნივერსიტეტში დროებით სტუმრად და უნივერსიტეტის სივრცეში დროებით მყოფ პირებზე.
3. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სივრცეში არსებული შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესების, თამბაქოს მოწევის აკრძალვის თაობაზე შესაბამისი წარწერის და ნიშნის, აგრეთვე, შესაბამისი საკონტაქტო ტელეფონის ნომერის განთავსებას, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში.
4. უნივერისტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია უნივერსიტეტის სივრცეში არ დაუშვას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფაქტები.
5. უნივერსიტეტის სივრცეში თამბაქოს მოწევის ფაქტისა ან/და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სხვა დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია იმოქმედოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობა წინამდებარე წესის დარღვევისათვის

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი დისციპლინური წარმოება წინამდებარე წესის მე-2 მუხლის პირველი ან/და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული წესების დარღვევის შედეგად უფლებამოსილი ორგანოს მიერ უნივერსიტეტისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შემთხვევაში.

2. წინამდებარე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესების დარღვევა უნივერსიტეტის პერსონალისა ან/და უნივერსიტეტის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიმართ დისცილინური წარმოების დაწყებისა და დისცილინური პასუხისმგებლობის საფუძველია.

3. წინამდებარე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესების დარღვევა უნივერსიტეტში სტუმრად, დროებით მყოფი პირის მხრიდან გამოიწვევს უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის მიერ ასეთი ქმედების შეწყვეტის მოთხოვნას ან ამ მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უნივერსიტეტის სივრცის დატოვების მოთხოვნას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიღებას.

მუხლი 4. წესის შესრულებაზე კონტროლი

წინამდებარე წესის შესრულების უზრუნველყოფაზე უშუალო კონტროლს ახორციელებს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, ხოლო სათანადო უფლებამოსილების ფარგლებში უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოები და სხვა სტრუქტურული ერთეულები.